

მვირფასო დოქტორანტებო!

ეს გზამკვლევი თქვენთვისაა და დარწმუნებული ვართ დაგეხმარებათ

მასში მოცემულია სადოქტორო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების აღწერა, თითოეულისადმი წაყენებული მოთხოვნები, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები, შეფასების სისტემა, დასრულებული სადისერტაციო ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნები, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წესი, სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კომპონენტები, სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა, დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების წესი.

გისურვებთ წარმატებებს

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

თბილისი, 2017 წელი

სარჩევი

პირველი და მეორე თემატური სემინარი	გვ. 3-4
სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	გვ. 5 -7
ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა	გვ. 7 -9
პროფესორის ასისტენტობა	გვ. 9 -11
თეორიული/ემპირიული კვლევა (კოლოქვიუმი -1)	გვ. 12 -14
თეორიული/ემპირიული კვლევა (კოლოქვიუმი -2)	გვ. 14 -16
თეორიული/ემპირიული კვლევა (კოლოქვიუმი -3)	გვ. 16 -18
დისერტაციის დასრულება და დაცვა	გვ. 19 -24
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად	
წარდგენილი დისერტაციის გაფორმების წესი	გვ. 25 -32

თემატური სემინარი / სემინარები

სწავლების პირველ და მეორე სემესტრებში დოქტორანტი ამზადებს თემატურ სემინარებს. თემატური სემინარები დოქტორანტს საშუალებას აძლევს კიდევ უფრო განიმტკიცოს და გაიღრმავოს საკუთარი ცოდნა და კვლევითი შესაძლებლობები იმ მიმართულებით, რომელზეც სწავლობს.

სასემინარო ნაშრომის თემას არჩევს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან შეთანხმებით. სასემინარო ნაშრომის თემა უნდა ემდგნებოდეს დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხს და იგი არ შეიძლება იყოს სადისერტაციო თემის ნაწილი.

სასემინარო ნაშრომს დოქტორანტი ახორციელებს სამეცნიერო ხელმძღვანელის ან ფაკულტეტის ერთ-ერთი პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის ხელმძღვანელობით.

განხორციელებული სასემინარო კვლევის შედეგების პრეზენტაცია და შესაბამისი თემატური სასემინარო ნაშრომის დაცვა ხორციელდება სადოქტორო სემინარზე, რომლის ორგანიზებას ახორციელებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი.

სადოქტორო სემინარში უნდა მონაწილეობდნენ შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, სადოქტორო სემინარში მონაწილე დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები, დოქტორანტების სასემინარო კვლევის ხელმძღვანელები, ასევე მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი და დოქტორანტები. სადოქტორო სემინარში შეიძლება ასევე მონაწილეობდნენ მოწვეული პროფესორები.

სადოქტორო სემინარზე მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი ანდა მოწვეული პროფესორები მსჯელობენ მეცნიერებისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე.

თემატური სემინარებისადმი წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები

თემატური სასემინარო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს, არანაკლებ 30 და არაუმეტეს 35 გვერდისა. ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. თემატური სასემინარო ნაშრომის ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდზე შრიფტით - Sylfaen, ზომით 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებულ იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. თემატური სასემინარო ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1. თემატური სასემინარო ნაშრომის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს – 38 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებს – 25 მმ. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი. თემატური სასემინარო ნაშრომის ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით.

შეფასების კომპონენტები

1	შუალედური შეფასება (სასემინარო თემის ხელმძღვანელის შეფასება)	80 ქულა
2	თემატური სასემინარო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციისა და დოქტორანტის დისკუსიაში მონაწილეობის შეფასება	20 ქულა
შუალედური შეფასების, თემატური სასემინარო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციისა და დოქტორანტის დისკუსიაში მონაწილეობის შეფასების ჯამური ქულა		100 ქულა

თემატური სასემინარო ნაშრომების შეფასების სისტემა

დასრულებული თემატური სემინარები ფასდება 100 ქულიანი სისტემით. დოქტორანტი, სადოქტორო სემინარში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად, სასემინარო ნაშრომს, არაუგვიანეს მე-12 სასწავლო კვირისა, წარუდგენს სასემინარო თემის ხელმძღვანელს, რომელიც 8 კომპონენტის საფუძველზე, ახორციელებს სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებას. კვლევის ხელმძღვანელი სასემინარო ნაშრომს აფასებს მაქსიმუმ 40 ქულით.

სადოქტორო სემინარზე მონაწილეობის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელიც თემატური სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებით დააგროვებს მინიმუმ 25 ქულას. სტუდენტს, რომელსაც დაგროვილი არ ექნება სავალდებულო მინიმალური ქულა (25), სადოქტორო სემინარზე არ დაიშვება.

საბოლოო შეფასების მიზნით, თემატური სასემინარო ნაშრომი, სასემინარო თემის ხელმძღვანელის შუალედური შეფასებით, შესაბამისი სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (არაუგვიანეს მე-15 სასწავლო კვირისა) წარედგინება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს.

დოქტორანტის სასემინარო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის საბოლოო შეფასებას, 4 კომპონენტის საფუძველზე, ახორციელებენ სადოქტორო სემინარში მონაწილე მიმართულების/დარგის პროფესორები და ასოცირებული პროფესორები (გარდა სასემინარო თემის ხელმძღვანელისა). შემფასებელი პროფესორი დოქტორანტის სასემინარო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციასა და დისკუსიაში მონაწილეობას აფასებს მაქსიმუმ 20 ქულით. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის საბოლოო ქულა განისაზღვრება მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი შემფასებელთა რაოდენობაზე).

სასემინარო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის მინიმალური ქულაა 16 ქულა.

თემატური სასემინარო ნაშრომი / ნაშრომები ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელის მიერ სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებისა და ნაშრომის საჯარო პრეზენტაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის შეფასების ქულის გათვალისწინებით სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას.

უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტს თემატური სემინარი / სემინარები ხელახლა აქვს შესასრულებელი.

სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი

სადისერტაციო კვლევის პროექტი (პროსპექტუსი) წარმოადგენს მიმოხილვითი კვლევის და ანალიზის შედეგს, სადისერტაციო ნაშრომის წინასწარ მონახაზს, რომელიც დოქტორანტმა უნდა დაასრულოს პირველი სასწავლო სემესტრის განმავლობაში.

როგორც დოქტორანტისთვის, ასევე მისი ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსთვის, პროსპექტუსი უნდა იყოს კარგად გააზრებული, კრიტიკული დისკუსიებისა და ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგად ჩამოყალიბებული პროექტი.

სადისერტაციო კვლევის პროექტზე (პროსპექტუსზე) მუშაობა მიმდინარეობს კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სხვა ექსპერტებთან კონსულტაციების (მათ შორის „ონლაინ“) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.

სადისერტაციო კვლევის პროექტში (პროსპექტუსში) უნდა ჩანდეს საკვლევი საკითხის სიახლე და აქტუალობა, შერჩეული თემის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულებების ლოგიკური განმარტება და დასაბუთება. ამ ეტაპზე ავტორმა უნდა იცოდეს თუ რა ტიპის რესურსებს (ლიტერატურა, სტატისტიკა) დაეყრდნობა და სად შეიძლება ამ რესურსის მოძიება.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ეს ეტაპი მოიცავს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებას და კვლევისათვის აუცილებელი ძირითადი ბიბლიოგრაფიის, აგრეთვე საკითხის კვლევის ისტორიის წარმოდგენას. დოქტორანტი მოკლედ მიმოიხილავს თუ რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით და რა კეთდება ამჟამად (ვინ მუშაობს, რა მიმართულებით). ამასთან, ავტორს გააზრებული უნდა ჰქონდეს ის მეთოდები, რომლის გამოყენებითაც შეეცდება პრობლემის ანალიზს. ამ ეტაპზე დოქტორანტს უნდა გააჩნდეს ლოგიკური მსჯელობის შედეგად დასაბუთებული წინასწარი შეხედულება/მოლოდინი კვლევის მოსალოდნელი შედეგების შესახებ. დოქტორანტი აყალიბებს საკვლევ პრობლემატიკას, მეთოდოლოგიას და კვლევის ძირითად საკითხებს. ამ ეტაპზე დოქტორანტი წარმოადგენს კვლევის გეგმას.

სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი უნდა მოიცავდეს:

- შესავალს (ზოგად დახასიათებას, სამეცნიერო სიახლეს, აქტუალობას, მიზნებსა და პრაქტიკულ მნიშვნელობას);
- სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას (საკითხის კვლევის ისტორიას; თანამედროვე მეცნიერებაში არსებულ ვითარებას საკვლევ საკითხთან დაკავშირებით; რატომ არის ეს საკითხი აქტუალური; რა ეტაპზეა დოქტორანტი შერჩეული წყაროების კვლევის თვალსაზრისით);
- მეთოდოლოგიას (დოქტორანტის მიერ შერჩეულ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს);
- ძირითად საკვლევ საკითხებს (რა პრობლემების გადაჭრას ისახავს დოქტორატი მიზნად);
- კვლევის მოსალოდნელ შედეგებს (რა შეიძლება იყოს კვლევის მოსალოდნელი შედეგები? რამდენად შეაქვს დოქტორანტს წვლილი დარგის განვითარებაში?);
- დისერტაციის შესრულების სავარაუდო გრაფიკს (კვლევის გეგმას);

- დისერტაციის სავარაუდო სტრუქტურას;
- ბიბლიოგრაფიას (პირველწყაროებს, სამეცნიერო ლიტერატურას).

სადისერტაციო კვლევის პროექტის (პროსპექტუსის) მოცულობა უნდა იყოს, არანაკლებ 15 და არაუმეტეს 20 გვერდისა. ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. სადისერტაციო კვლევის პროექტის (პროსპექტუსის) ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ2 სიმკვრივის ქაღალდზე შრიფტით - Sylfaen, ზომით 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. სადისერტაციო კვლევის პროექტის (პროსპექტუსის) ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. სადისერტაციო კვლევის პროექტის/პროსპექტუსის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს – 38 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებს – 25 მმ. სადისერტაციო კვლევის პროექტის/პროსპექტუსის ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით.

დასრულებული სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი შესაფასებლად გადაეცემა დოქტორანტის ხელმძღვანელს, რომელიც დასაბუთებული, არგუმენტირებული, წერილობითი დასკვნით, დადებითად ან უარყოფითად აფასებს დოქტორანტის მიერ შესრულებულ სამუშაოს. აღნიშნული დასკვნით ხელმძღვანელი დოქტორანტს უფლებას აძლევს გააგრძელოს კვლევითი კომპონენტის შემდგომ ეტაპზე მუშაობა ან საჭიროდ თვლის დოქტორანტმა თავიდან დაამუშაოს კვლევითი პროექტი / პროსპექტუსი. დოქტორანტის ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია სადისერტაციო კვლევის პროექტის/პროსპექტუსის პრეზენტაცია გააკეთოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ დაკომპლექტებული კომისიის წინაშე, რომელიც ასევე გამოთქვამს მოსაზრებას დოქტორანტის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. აღნიშნული აისახება ოქმში, რომელშიც დაფიქსირდება კომისიის დადებითი ან უარყოფითი მოსაზრება დოქტორანტის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. ასეთი გამჭვირვალე პროცესი უზრუნველყოფს იმას, რომ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო მუდმივად იყოს ინფორმირებული კონკრეტული დოქტორანტის მიერ შესასრულებელი კვლევითი კომპონენტის მიმდინარეობაზე. კომისიის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დოქტორანტი ვალდებულია თავიდან გადაამუშაოს სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი.

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისგან შემდგარი კომისია დოქტორანტის მიერ შესრულებულ პროსპექტუსს აფასებს მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი დასკვნით და არა ქულებით, შესაბამისად, დოქტორანტს ჩატარებულ სამუშაოში კრედიტი არ მიენიჭება.

სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ პროსპექტუსის შეფასების კრიტერიუმები:

1. შერჩეული თემის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულებების ლოგიკური განმარტება და დასაბუთება;
2. საკითხის კვლევის ისტორიის წარმოჩენა;
3. თანამედროვე მეცნიერებაში საკვლევი საკითხის ვითარების (აქტუალობის) წარმოჩენა;

4. შერჩეული მასალა, პირველწყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა;
5. შერჩეული კვლევის მეთოდოლოგია;
6. წინასწარი შეხედულება კვლევის მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

კომისიის წევრების მიერ პროსპექტუსის შეფასების კრიტერიუმები:

1. საკვლევი თემის სიახლის და აქტუალობის განმარტება და დასაბუთება;
2. საკვლევი თემის ორიგინალურობა და გადასაჭრელი პრობლემატიკის მნიშვნელობა;
3. დისერტაციის სავარაუდო სტრუქტურა;
4. ბიბლიოგრაფია (პირველწყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა).

ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა

ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევის მიზანია კვლევის ადრეულ ეტაპზე დაეხმაროს დოქტორანტს კვლევის წარმართვაში, პირველადი და/ან მეორადი წყაროების ანალიზში, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურის განახლებაში, სადისერტაციო ნაშრომის შინაარსის დაზუსტებაში (თემის უფრო მეტად დაკონკრეტება ან გაფართოება) და/ან მიღწეული შედეგების მიხედვით სადისერტაციო ნაშრომის შესავალის მომზადებასა და საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში.

ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა უზრუნველყოფს შერჩეული წყაროების შეფასებას და შესაძლებელია გამოიწვიოს დამტკიცებული კვლევის გეგმისა და სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურის კვლევის საჭიროებათა შესაბამისად შეცვლა.

ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა მოიცავს სადისერტაციო ნაშრომის შესავალში მოცემული წინასწარი შეფასებების (აქტუალობა, მიზნები, წინასწარი თეზისი და კვლევის მეთოდები) მომზადებას და საბოლოო სახით ჩამოყალიბებას.

აღნიშნულ კომპონენტზე მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელთან რეგულარული შეხვედრების, დისკუსიების, კონსულტაციების (მათ შორის „ონლაინ“) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.

ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევისადმი წაყენებული მოთხოვნები

ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევის (წერილობითი ნაშრომის) მოცულობა უნდა იყოს, არანაკლებ 20 და არაუმეტეს 25 გვერდისა. ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევის ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდზე შრიფტით - Sylfaen, ზომით 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავები

სა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს – 38 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებს – 25 მმ. ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევის ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით.

ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევის შეფასება

ხელმძღვანელობით განხორციელებულ კვლევას აფასებს დოქტორანტის ხელმძღვანელი, რომელიც წერილობით დასკვნას წერს და დოქტორანტის მიერ შესრულებულ სამუშაოს დადებითად ან უარყოფითად აფასებს. აღნიშნული დასკვნით ხელმძღვანელი დოქტორანტს უფლებას აძლევს გააგრძელოს კვლევითი კომპონენტის შემდგომ ეტაპზე მუშაობა ან ან საჭიროდ თვლის დოქტორანტმა თავიდან შეასრულოს აღნიშნული კომპონენტი. ამის შემდეგ, დოქტორანტი ვალდებულია ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევის პრეზენტაცია გააკეთოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ დაკომპლექტებული კომისიის წინაშე, რომელიც ასევე გამოთქვამს მოსაზრებას დოქტორანტის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. აღნიშნული აისახება ოქმში, რომელშიც დაფიქსირდება კომისიის დადებითი ან უარყოფითი მოსაზრება დოქტორანტის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. ასეთი გამჭვირვალე პროცესი უზრუნველყოფს იმას, რომ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო მუდმივად იყოს ინფორმირებული კონკრეტული დოქტორანტის მიერ შესასრულებელი კვლევითი კომპონენტის მიმდინარეობაზე. კომისიის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დოქტორანტი ვალდებულია ხელმძღვანელის დახმარებით თავიდან განახორციელოს კვლევა. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისგან შემდგარი

კომისია დოქტორანტის მიერ ხელმძღვანელობით განხორციელებულ კვლევას აფასებს მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი დასკვნით და არა ქულებით, შესაბამისად, დოქტორანტს ჩატარებულ სამუშაოში კრედიტი არ მიენიჭება.

ხელმძღვანელის მიერ განხორციელებული კვლევის შეფასების კრიტერიუმები:

პირველადი გეგმის შეფასების კრიტერიუმები:

1. სათაურის ინფორმაციულობა, სიზუსტე, აქტუალობა;
2. სტრუქტურის შესაბამისობა სათაურთან;
3. ერთი დონის თავებისა და ქვეთავების ფორმირება, ინფორმაციულობა, თანმიმდევრულობა;
4. სტრუქტურიდან გამომდინარე საკითხის ამოწურვადობა;
5. ტექნიკურად გამართულად ჩამოყალიბება, ადეკვატური და თანმიმდევრული სისტემის გამოყენება;

6. დასახული მიზნის ადეკვატურობა და მიღწევადობა, საკითხის ამოწურვადობა;
7. “ზმა“ დოქტორანტის კვლევასთან, საკუთარი არგუმენტაცია, დასაბუთება;
8. აზრის სტრუქტურირებულად გადმოცემა, ადეკვატური მსჯელობა, კვლევის გამართლებული მეთოდის შერჩევა;
9. ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული საკუთარი შემაჯამებელი თეზისი;
10. მსჯელობის ტექნიკურად გამართულად ჩამოყალიბება, ადეკვატური ციტირება.

კომისიის მიერ ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევის შეფასების კრიტერიუმები:

1. დასახული მიზნის აქტუალობა, ადეკვატურად ჩამოყალიბება;
2. პრობლემის დანახვა და საკითხის მკაფიოდ დასმა;
3. სავარაუდო (წინასწარი) თეზისი;
4. ადეკვატური მეთოდის შერჩევა;
5. თავებისა და ქვეთავების სიზუსტე, ინფორმაციულობა;
6. საკუთარი არგუმენტაცია, ანალიზი;
7. მსჯელობის თანმიმდევრულობა;
8. დასაბუთება, ადეკვატური წყაროებისა და ლიტერატურის გამოყენება;
9. დასკვნის ორიგინალობა, სიახლის დასაბუთება;
10. ტექნიკურად გამართულად ჩამოყალიბება, ადეკვატური ციტირების ტექნიკა.

პროფესორის ასისტენტობა

დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში.

პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის, სამეცნიერო ხელმძღვანელის, უნივერსიტეტის სხვა პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის ხელმძღვანელობით, მეცადინეობების - ლექციების, სემინარების, პრაქტიკუმების ჩატარებას, შუალედური და დასკვნითი გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადებას, სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას, საბაკალავრო ნაშრომების რეცენზირებას და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობას.

დოქტორანტი, რომელიც ამავდროულად არის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ან საქართველოს სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი, ასისტენტი ან მოწვეული სპეციალისტი და უძღვება სასწავლო კურსს, მისთვის პროფესორის ასისტენტობა გამოიხატება სამეცნიერო ხელმძღვანელის ან უნივერსიტეტის სხვა პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის ხელმძღვანელობით საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის მარტივი სახელმძღვანელოს, ამოცანათა (კაზუსთა) კრებულის ან დამხმარე ლიტერატურის და სხვ. მომზადებაში; სამეცნიერო ხელმძღვანელის ან უნივერსიტეტის სხვა

პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის ხელმძღვანელობით ელექტრონული სასწავლო კურსის მომზადებაში.

პროფესორის ასისტენტობისათვის განკუთვნილი კრედიტი განსაზღვრულია შემდეგი პრინციპით:

- **სემინარის, ან პრაქტიკული მეცადინეობის თითოეული საათის ჩასატარებლად მომზადებას** დოქტორანტმა უნდა მოანდომოს 4 საათი. დოქტორანტმა სემესტრის განმავლობაში სემინარის ან პრაქტიკული მეცადინეობის სახით უნდა ჩაატაროს 22 საათი. მაშასადამე აღნიშნული კომპონენტისთვის მას ესაჭიროება **110 სთ (22+88=110).**
- თითოეული ჩატარებული **ლექციის მომზადებას** დოქტორანტმა უნდა მოანდომოს 8 საათი. დოქტორანტმა სემესტრის განმავლობაში უნდა ჩაატაროს ათი ორ საათიანი ლექცია ანუ სულ 20 საათი. მაშასადამე აღნიშნული კომპონენტისთვის მას ესაჭიროება **100 სთ (20+80=100).**
- **შუალედური და დასკვნითი გამოცდის საკითხების მომზადებისთვის** დოქტორანტს სჭირდება 3-3 საათი. სულ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის საკითხების მომზადებისთვის დოქტორანტს **სჭირდება 6 საათი.**
- **დოქტორანტს 1 სტუდენტის შუალედური და დასკვნითი გამოცდის ნაწერების გასწორებისთვის** სჭირდება 1 სთ. დოქტორანტმა უნდა გაასწოროს 25 სტუდენტის შუალედური და დასკვნითი გამოცდის ნაწერები. შესაბამისად მას სულ დასჭირდება **25 სთ.**
- შესაბამისი მეთოდოლოგიის დაუფლებისა და პროფესიული სრულყოფის მიზნით დოქტორანტი უნდა დაესწროს თავისი ხელმძღვანელის (ან სხვა რომელიმე პროფესორის, ან ასოცირებული პროფესორის) ლექციებს. **დოქტორანტი უნდა დაესწროს 5 ორსაათიან ლექციას. შესაბამისად, დოქტორანტს ლექციებზე დასწრებისათვის სჭირდება 10 სთ.**
- დოქტორანტმა უნდა განახორციელოს ორი საბაკალავრო ნაშრომის რეცენზირება. თითოეული ნაშრომის **რეცენზირებისთვის დოქტორანტს სჭირდება 32 სთ. შესაბამისად ორი ნაშრომის რეცენზირებისთვის მას სჭირდება 64 სთ.**
- დოქტორანტმა უნდა განახორციელოს ორი საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა. თითოეული **სტუდენტის კონსულტაციისათვის დოქტორანტს კვირაში სჭირდება 1 სთ., ხოლო სემესტრის განმავლობაში 15 სთ.** შესაბამისად ორი სტუდენტის კონსულტირებისათვის დოქტორანტს სემესტრის განმავლობაში სჭირდება **30 სთ.** გარდა ამისა, დოქტორანტმა უნდა შეაფასოს თითოეული საბაკალავრო ნაშრომი (ხელმძღვანელის დასკვნა). თითოეული ნაშრომის შეფასებისთვის **დოქტორანტს სჭირდება 15 სთ.** შესაბამისად ორი ნაშრომის შეფასებისთვის მას სჭირდება **30 სთ.** სულ ორი საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობისათვის დოქტორანტს სჭირდება **60 სთ.**

შენიშვნა: დოქტორანტისთვის, რომელიც ამავდროულად არის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ან საქართველოს სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი, ასისტენტი ან მოწვეული სპეციალისტი და უძღვება სასწავლო კურსს, პროფესორის ასისტენტობისათვის განკუთვნილი კრედიტი განისაზღვრება შემდეგი პრინციპით:

პროფესორის ასისტენტობა შეადგენს 15 კრედიტს ანუ 375 საათს (15X25=375 სთ.), მათ შორის: 45 სთ. სამეცნიერო ხელმძღვანელთან კონსულტაციებისთვის (მათ შორის „ონლაინ“) და 330 სთ. დამოუკიდებელი მუშაობისთვის - შესაბამისი სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მარტივი სახელმძღვანელოს, ამოცანათა (კაზუსთა) კრებულის ან დამხმარე ლიტერატურის და სხვ. მომზადება.

შეფასების კომპონენტები

კომპონენტის დასახელება	მაქსიმალური ქულა	სულ ქულათა ჯამი
ჩატარებული სემინარის/პრაქტიკული მეცადინეობის შეფასება	5 ქულა	6X5=30 ქულა
ჩატარებული ლექციების შეფასება	5 ქულა	5X5=25 ქულა
შუალედური გამოცდისათვის მომზადებული საკითხების შეფასება	5 ქულა	1X5=5 ქულა
დასკვნითი გამოცდისათვის მომზადებული საკითხების შეფასება	5 ქულა	1X5=5 ქულა
პროფესორის ლექციებზე დასწრება	1 ქულა	1X5=5 ქულა
შუალედური გამოცდის გასწორებული ნაშრომების შეფასება	5 ქულა	1X5=5 ქულა
დასკვნითი გამოცდის გასწორებული ნაშრომების შეფასება	5 ქულა	1X5=5 ქულა
საბაკალავრო ნაშრომის რეცენზირების შეფასება	5 ქულა	2X5=10 ქულა
საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობის შეფასება	5 ქულა	2X5=10 ქულა
	ჯამური ქულა	100 ქულა

პროფესორის ასისტენტობის შეფასების სისტემა

პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება იმ პროფესორის მიერ, რომელსაც დოქტორანტმა ასისტენტობა გაუწია. პროფესორის ასისტენტობა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. პროფესორის ასისტენტობისთვის კრედიტის მინიჭების წინაპირობაა შესრულებული სამუშაოს დადებითად შეფასება. პროფესორის ასისტენტობა დოქტორანტს ჩაეთვლება, თუ დააგროვებს 51 და მეტ ქულას.

თეორიული/ემპირიული კვლევა (კოლოქვიუმი -1)

ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევის შემდეგ, სწავლების მეორე წლიდან, დოქტორანტი იწყებს თეორიულ/ემპირიულ კვლევას, რომლის ფარგლებშიც დოქტორანტს ევალება კოლოქვიუმის მომზადება, შესაბამისად ერთი პუბლიკაციის მომზადება და სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება.

სამეცნიერო სტატია უნდა ასახავდეს თეორიულ/ემპირიული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და გარკვეული წვლილი შექონდეს დარგის მეცნიერების განვითარებაში. თეორიულ/ემპირიული კვლევის ფარგლებში დოქტორანტმა შესაძლებელია მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაშიც (პირადად გააკეთოს მოხსენება).

პირველი კოლოქვიუმი არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი. კოლოქვიუმი ითვალისწინებს სადისერტაციო თემის ცალკეული ნაწილის გარშემო დოქტორანტის მიერ სათანადო მასალის წარმოდგენას და პრეზენტაციას.

კოლოქვიუმი უნდა ასახავდეს თეორიული/ემპირიული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს. კოლოქვიუმზე დოქტორანტმა უნდა წარმოაჩინოს, თუ რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი, წარმოაჩინოს მიღებული და მოსალოდნელი შედეგები, გააკეთოს მომზადებული ან რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ანალიზი (რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალების ნუსხა დადგენილია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ).

კოლოქვიუმზე მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, დარგის აღიარებულ სპეციალისტებთან (მათ შორის უცხოელ) პროფესორებთან ან/და სხვა ექსპერტებთან კონსულტაციების (მათ შორის „ონლაინ“) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში. დამოუკიდებელი მუშაობა ხორციელდება კვლევითი საქმიანობის სახით და ძირითადად კონცენტრირებულია მინიმალური ხელშეწყობის პირობებში მეცნიერულ თვითგანვითარებაზე. ამავდროულად, კოლოქვიუმის პრეზენტაცია და შემდგომი დისკუსია, ასევე სხვა დოქტორანტების კოლოქვიუმების პრეზენტაციებში აქტიური მონაწილეობა, შესაძლებლობას აძლევს დოქტორანტს განვითარდეს, საკუთარი და სხვისი შეცდომების ანალიზის საფუძველზე.

თეორიულ/ემპირიული კვლევისადმი (კოლოქვიუმისადმი) წაყენებული მოთხოვნები

კოლოქვიუმი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე კოლოქვიუმის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

პირველი კოლოქვიუმის მოცულობა უნდა იყოს, არანაკლებ 20 და არაუმეტეს 25 გვერდისა. ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდზე

შრიფტით - Sylfaen, ზომით 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1. კოლოქვიუმის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს – 38 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებს – 25 მმ. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი. პირველი კოლოქვიუმის ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით.

დასკვნას დოქტორანტის მიერ შესრულებულ პირველ კოლოქვიუმზე წერს სამეცნიერო კვლევის ხელმძღვანელი. დასკვნა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი.

სამეცნიერო კვლევის ხელმძღვანელის მიერ შესრულებულ კოლოქვიუმზე დასაბუთებული, არგუმენტირებული, დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია სადისერტაციო საბჭოს არაუგვიანეს მე-13 სასწავლო კვირისა, წარუდგინოს პირველი კოლოქვიუმის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები, რეცენზენტთან გადასაგზავნად.

ამის შემდეგ, პირველი კოლოქვიუმი სარეცენზიოდ გადაეგზავნება შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მქონე პირს. რეცენზენტის დასკვნაც შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. რეცენზენტის მიერ პირველ კოლოქვიუმზე დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია გააკეთოს კოლოქვიუმის პრეზენტაცია.

პირველი კოლოქვიუმის პრეზენტაციის მიზნით სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თავმჯდომარეობით ქმნის სპეციალურ კომისიას, რომელშიც უნდა შედიოდეს მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი. კომისიის მუშაობას ესწრება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელიც.

კომისია დოქტორანტის მიერ გაკეთებულ პრეზენტაციაზე წერს დასკვნას, რომელიც ასევე დადებითი ან უარყოფითი შეიძლება იყოს და არგუმენტირებულად დაასაბუთებს რეკომენდაციას, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის გაგრძელებასთან ან პირველი კოლოქვიუმის ხელახლა გადამუშავებასთან დაკავშირებით.

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რეცენზენტი და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისგან შემდგარი კომისია დოქტორანტის მიერ შესრულებულ პირველ კოლოქვიუმს აფასებს მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი დასკვნით და არა ქულებით, შესაბამისად, დოქტორანტს ჩატარებულ სამუშაოში კრედიტი არ მიენიჭება.

სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასების კრიტერიუმები:

1. პრობლემის იდენტიფიცირება;
2. კვლევის მეთოდოლოგია;
3. ინოვაციური აზროვნება;
4. დასკვნები და შედეგები;
5. გამოყენებული მასალა, პირველწყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა;
6. უცხოური კვლევების ჩართულობის ხარისხი.

კოლოქვიუმის საჯარო პრეზენტაციისა და დოქტორანტის დისკუსიაში მონაწილეობის შეფასების კრიტერიუმები:

1. საჭირო ინფორმაციაზე წვდომა და ინფორმაციის გამოყენების ეფექტურობა;
2. ჩატარებული კვლევის ხარისხი;
3. გამოყენებული კვლევის მეთოდების სისტემა;
4. დასკვნები და შედეგები;
5. დასკვნებისა და შედეგების წარმოჩენა და დასაბუთება;
6. დისკუსიის უნარი;
7. პრეზენტაციის ორგანიზების უნარი;
8. მასალის მიწოდების უნარი.

თეორიული/ემპირიული კვლევა (კოლოქვიუმი -2)

პირველი კოლოქვიუმის დადებითი შეფასების შემდეგ, დოქტორანტი აგრძელებს თეორიულ/ემპირიულ კვლევას, რომლის ფარგლებშიც დოქტორანტს ევალება მეორე კოლოქვიუმის მომზადება, შესაბამისად კიდევ ერთი პუბლიკაციის მომზადება და სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება.

სამეცნიერო სტატია უნდა ასახავდეს თეორიულ/ემპირიული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და გარკვეული წვლილი შექონდეს დარგის მეცნიერების განვითარებაში. თეორიულ/ემპირიული კვლევის ფარგლებში დოქტორანტმა შესაძლებელია მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაშიც (გააკეთოს მოხსენება).

მეორე კოლოქვიუმზე არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი. ის ითვალისწინებს სადისერტაციო თემის ცალკეული ნაწილის გარშემო დოქტორანტის მიერ სათანადო მასალის წარმოდგენას და პრეზენტაციას.

მეორე კოლოქვიუმი უნდა ასახავდეს თეორიული/ემპირიული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს. კოლოქვიუმზე დოქტორანტმა უნდა წარმოაჩინოს, რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი, წარმოაჩინოს მიღებული და მოსალოდნელი შედეგები, გააკეთოს მომზადებული ან რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ანალიზი (რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალების ნუსხა დადგენილია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ).

მეორე კოლოქვიუმზე მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, დარგის აღიარებულ სპეციალისტებთან (მათ შორის უცხოელ) პროფესორებთან ან/და სხვა ექსპერტებთან (მათ შორის „ონლაინ“) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.

დამოუკიდებელი მუშაობა ხორციელდება კვლევითი საქმიანობის სახით და ძირითადად კონცენტრირებულია მინიმალური ხელშეწყობის პირობებში მეცნიერულ თვითგანვითარებაზე. ამავდროულად, კოლოქვიუმის პრეზენტაცია და შემდგომი დისკუსია, ასევე სხვა დოქტორანტების კოლოქვიუმების პრეზენტაციებში აქტიური მონაწილეობა, შესაძლებლობას აძლევს დოქტორანტს, განვითარდეს საკუთარი და სხვისი შეცდომების ანალიზის საფუძველზე.

თეორიულ/ემპირიული კვლევისადმი (კოლოქვიუმისადმი) წაყენებული მოთხოვნები

მეორე კოლოქვიუმი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე კოლოქვიუმის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

მეორე კოლოქვიუმის მოცულობა უნდა იყოს, არანაკლებ 20 და არაუმეტეს 25 გვერდისა. ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდზე შრიფტით - Sylfaen, ზომით 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1. კოლოქვიუმის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს – 38 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებს – 25 მმ. მეორე კოლოქვიუმს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი. მეორე კოლოქვიუმის ნაშრომის ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებულ ხარისხით.

პირველ დასკვნას დოქტორანტის მიერ შესრულებულ მეორე კოლოქვიუმზე წერს სამეცნიერო კვლევის ხელმძღვანელი. დასკვნა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი.

სამეცნიერო კვლევის ხელმძღვანელის მიერ შესრულებულ კოლოქვიუმზე დასაბუთებული, არგუმენტირებული, დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია სადისერტაციო საბჭოს არაუგვიანეს მე-13 სასწავლო კვირისა, წარუდგინოს კოლოქვიუმის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები, რეცენზენტთან გადასაგზავნად.

ამის შემდეგ, მეორე კოლოქვიუმი სარეცენზიოდ გადაეგზავნება შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მქონე პირს. რეცენზენტის დასკვნაც შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. რეცენზენტის მიერ კოლოქვიუმზე დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია გააკეთოს კოლოქვიუმის პრეზენტაცია.

მეორე კოლოქვიუმის პრეზენტაციის მიზნით სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თავმჯდომარეობით ქმნის სპეციალურ კომისიას, რომელშიც უნდა შედიოდეს მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი. კომისიის მუშაობას ესწრება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელიც.

კომისია დოქტორანტის მიერ გაკეთებულ პრეზენტაციაზე წერს დადებით ან უარყოფით დასკვნას და არგუმენტირებულად დაასაბუთებს რეკომენდაციას, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის გაგრძელებასთან ან მეორე კოლოქვიუმის ხელახლა გადამუშავებასთან დაკავშირებით.

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რეცენზენტი და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისგან შემდგარი კომისია დოქტორანტის მიერ შესრულებულ კოლოქვიუმს აფასებს მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი დასკვნით და არა ქულებით, შესაბამისად, დოქტორანტს ჩატარებულ სამუშაოში კრედიტი არ მიენიჭება.

სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასების კრიტერიუმები:

7. პრობლემის იდენტიფიცირება;
8. კვლევის მეთოდოლოგია;
9. ინოვაციური აზროვნება;
10. დასკვნები და შედეგები;
11. გამოყენებული მასალა, პირველწყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა;
12. უცხოური კვლევების ჩართულობის ხარისხი.

კოლოქვიუმის საჯარო პრეზენტაციისა და დოქტორანტის დისკუსიაში მონაწილეობის შეფასების კრიტერიუმები

9. საჭირო ინფორმაციაზე წვდომა და ინფორმაციის გამოყენების ეფექტურობა;
10. ჩატარებული კვლევის ხარისხი;
11. გამოყენებული კვლევის მეთოდების სისტემა;
12. დასკვნები და შედეგები;
13. დასკვნებისა და შედეგების წარმოჩენა და დასაბუთება;
14. დისკუსიის უნარი;
15. პრეზენტაციის ორგანიზების უნარი;
16. მასალის მიწოდების უნარი.

თეორიული/ემპირიული კვლევა (კოლოქვიუმი -3)

მეორე კოლოქვიუმში დადებითი შეფასების მიღების შემდეგ, დოქტორანტი აგრძელებს თეორიულ/ემპირიულ კვლევას, რომლის ფარგლებშიც დოქტორანტს ევალება მესამე კოლოქვიუმის მომზადება, შესაბამისად მესამე პუბლიკაციის მომზადება და სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება.

სამეცნიერო სტატია უნდა ასახავდეს თეორიულ/ემპირიული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და გარკვეული წვლილი შექონდეს დარგის მეცნიერების განვითარებაში. თეორიულ/ემპირიული კვლევის ფარგლებში დოქტორანტმა მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში (პირადად გააკეთოს მოხსენება).

მესამე კოლოქვიუმშიც არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი. კოლოქვიუმი ითვალისწინებს სადისერტაციო თემის ცალკეული ნაწილის გარშემო დოქტორანტის მიერ სათანადო მასალის წარმოდგენას და ამ ეტაპზე მიღწეული შედეგების აპრობაციას.

მესამე კოლოქვიუმი უნდა ასახავდეს თეორიული/ემპირიული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს. კოლოქვიუმზე დოქტორანტმა უნდა წარმოაჩინოს მიღებული და მოსალოდნელი შედეგები, გააკეთოს მომზადებული ან რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ანალიზი (რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალების ნუსხა დადგენილია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ).

მესამე კოლოქვიუმზე მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, დარგის აღიარებულ სპეციალისტებთან ან/და სხვა ექსპერტებთან კონსულტაციების (მათ შორის „ონლაინ“) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში. დამოუკიდებელი მუშაობა ხორციელდება კვლევითი საქმიანობის სახით და ძირითადად კონცენტრირებულია მინიმალური ხელშეწყობის პირობებში მეცნიერულ თვითგანვითარებაზე. ამავდროულად, კოლოქვიუმის პრეზენტაცია და შემდგომი დისკუსია, ასევე სხვა დოქტორანტების კოლოქვიუმების პრეზენტაციებში აქტიური მონაწილეობა, დოქტორანტს შესაძლებლობას აძლევს, განვითარდეს საკუთარი და სხვისი შეცდომების ანალიზის საფუძველზე.

თეორიულ/ემპირიული კვლევისადმი (კოლოქვიუმისადმი) წაყენებული მოთხოვნები

მესამე კოლოქვიუმი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე კოლოქვიუმის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

მესამე კოლოქვიუმის მოცულობა უნდა იყოს, არანაკლებ 40 და არაუმეტეს 50 გვერდისა. ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდზე შრიფტით - Sylfaen, ზომით 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1. კოლოქვიუმის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს – 38 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებს – 25 მმ. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი. მესამე კოლოქვიუმის ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით.

პირველ დასკვნას დოქტორანტის მიერ შესრულებულ მესამე კოლოქვიუმზე წერს სამეცნიერო კვლევის ხელმძღვანელი. დასკვნა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. სამეცნიერო კვლევის ხელმძღვანელის მიერ შესრულებულ კოლოქვიუმზე დასაბუთებული, არგუმენტირებული, დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია სადისერტაციო საბჭოს არაუგვიანეს მე-13 სასწავლო კვირისა, წარუდგინოს მესამე კოლოქვიუმის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები, რეცენზენტთან გადასაგზავნად.

ამის შემდეგ, მესამე კოლოქვიუმი სარეცენზიოდ გადაეგზავნება შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მქონე პირს. რეცენზენტის დასკვნაც შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. რეცენზენტის მიერ კოლოქვიუმზე დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია გააკეთოს კოლოქვიუმის პრეზენტაცია.

მესამე კოლოქვიუმის პრეზენტაციის მიზნით სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თავმჯდომარეობით ქმნის სპეციალურ კომისიას, რომელშიც უნდა შედიოდეს მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი. კომისიის მუშაობას ესწრება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელიც.

კომისია დოქტორანტის მიერ გაკეთებულ პრეზენტაციაზე ასევე წერს დადებით ან უარყოფით დასკვნას, და არგუმენტირებულად დაასაბუთებს რეკომენდაციას, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის გაგრძელებასთან ან მესამე კოლოქვიუმის ხელახლა გადამუშავებასთან დაკავშირებით.

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რეცენზენტი და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისგან შემდგარი კომისია დოქტორანტის მიერ შესრულებულ მესამე კოლოქვიუმს აფასებს მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი დასკვნით და არა ქულებით, შესაბამისად, დოქტორანტს ჩატარებულ სამუშაოში კრედიტი არ მიენიჭება.

სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასების კრიტერიუმები:

13. პრობლემის იდენტიფიცირება;
14. კვლევის მეთოდოლოგია;
15. ინოვაციური აზროვნება;
16. დასკვნები და შედეგები;
17. გამოყენებული მასალა, პირველწყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა;
18. უცხოური კვლევების ჩართულობის ხარისხი.

კოლოქვიუმის საჯარო პრეზენტაციისა და დოქტორანტის დისკუსიაში მონაწილეობის შეფასების კრიტერიუმები

17. საჭირო ინფორმაციაზე წვდომა და ინფორმაციის გამოყენების ეფექტურობა;
18. ჩატარებული კვლევის ხარისხი;
19. გამოყენებული კვლევის მეთოდების სისტემა;
20. დასკვნები და შედეგები;
21. დასკვნებისა და შედეგების წარმოჩენა და დასაბუთება;
22. დისკუსიის უნარი;
23. პრეზენტაციის ორგანიზების უნარი;
24. მასალის მიწოდების უნარი.

დისერტაციის დასრულება და დაცვა

სადისერტაციო ნაშრომი კვლევითი კომპონენტის დამაგვირგვინებელი ნაწილია. დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ემპირიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს და/ან წყვეტდეს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, დარგის აღიარებულ სპეციალისტებთან ან/და სხვა ექსპერტებთან კონსულტაციების (მათ შორის „ონლაინ“) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში. დამოუკიდებელი მუშაობა ხორციელდება კვლევითი საქმიანობის სახით და ძირითადად კონცენტრირებულია მინიმალური ხელშეწყობის პირობებში მეცნიერულ თვითგანვითარებაზე.

დასრულებული სადისერტაციო ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნები

დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

სადისერტაციო ნაშრომის არქიტექტონიკა - მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები (სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების წესი) მოცემულია წინამდებარე სილაბუსის №1 დანართში.

დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის, მისი წინასწარი შეფასების, საჯარო დაცვისა და საბოლოო შეფასების წესი განსაზღვრულია „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 24 თებერვლის დადგენილებით დამტკიცებული დებულებით (იხ. www.ciu.edu.ge) და წინამდებარე სილაბუსით.

დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომის ორ აკინძულ ბეჭდურ ეგზემპლარს და მის ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში) წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს განსახილველად „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 3 ნოემბრის სხდომის #32 ოქმით დამტკიცებული დებულებით გათვალისწინებულ ვადებში.

სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭო დისერტაციის შესაფასებლად გამოყოფს ორ ექსპერტს (მათ შორის ერთს მოწვეულს), რომლებმაც ერთი თვის ვადაში უნდა წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები.

ექსპერტთა მიერ დადებითი დასკვნების წარმოდგენის შემთხვევაში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შექმნის დარგობრივ კომისიას და დანიშნავს სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვის (აპრობაციის) თარიღს. წინასწარი განხილვის (აპრობაციის) წარმატებით გავლის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო ნიშნავს ორ შემფასებელს (რეცენზენტს), რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში გამოქვეყნებული აქვს შრომები. დისერტანტი

ვალდებულია სადისერტაციო საბჭოს წარუდგინოს ყდაში აკინძული ნაბეჭდი დისერტაციის 4 ეგზემპლარი, მისი ელექტრონული ვერსია PDF ფორმატში და 4 ეგზემპლარი ავტორეფერატი.

შემფასებლის რეცენზიაში უნდა აისახოს:

- სადოქტორო თემის აქტუალობა;
- კვლევის მეცნიერული დონე;
- გამოყენებული მეთოდები (მეთოდოლოგია);
- მიღებული შედეგების სანდოობა;
- დისერტაციის გაფორმების ხარისხი და სხვ.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა წარმოებს სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე საჯაროდ, ქართულ ენაზე, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დაშვებული.

კოლეგიის სხდომაზე სადისერტაციო კოლეგიის თავმჯდომარე აცხადებს დისერტანტის ვინაობას და დისერტაციის თემას, შემფასებლების (რეცენზენტების) ვინაობას და კოლეგიას აცნობს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დისერტაციის დაცვის პროცედურას და დოქტორანტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.

დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო კამათს, სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას და სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადებას. დაცვის პროცესის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 120 წუთს.

დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაცია გულისხმობს დოქტორანტის მოხსენებას – თემის წარმოდგენას, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს. კოლეგიის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტი კოლეგიას მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს მეცნიერულ სიახლეს.

ნაშრომის პრეზენტაციისას დისერტანტმა უნდა გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: მაგალითად, სლაიდები, პლაკატები, ვიდეო-კინო გასაშვები ტექნიკა და ა.შ.

ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ იმართება სამეცნიერო კამათი. დოქტორანტი უპასუხებს დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც კოლეგიის თავმჯდომარე კოლეგიას გააცნობს დისერტაციის წინასწარი განხილვის შედეგებს. იწყება რეცენზენტების პაექრობა დოქტორანტთან, რის შემდეგაც სიტყვა ეძლევა თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელებს) დოქტორანტის პიროვნული დახასიათებისათვის. იმართება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა შეუძლიათ როგორც კოლეგიის წევრებს, ისე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებს.

სამეცნიერო კამათის დასრულების შემდეგ კოლეგიის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტს ეძლევა დასკვნითი სიტყვა, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს.

დოქტორანტის დასკვნითი სიტყვის შემდეგ სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად სადისერტაციო კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ დასკვნით სხდომაზე ფარული კენჭისყრით.

შეფასების კომპონენტები

რეცენზენტების (შემფასებლების) წინასწარი შეფასება	40 ქულა
სადისერტაციო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციისა და დოქტორანტის დისკუსიაში მონაწილეობის შეფასება	60 ქულა
შუალედური შეფასებისა და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციის /დაცვის ჯამური ქულა	100 ქულა

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა

რეცენზენტი (შემფასებელი) სადისერტაციო ნაშრომს აფასებს 100 ქულიანი სისტემით, ხოლო საბოლოო ქულა გამოითვლება 40 ქულასთან შეფარდებით. რეცენზენტის (შემფასებლის) მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია:

- საკვლევი თემის აქტუალობა;
- კვლევის მეთოდების გამოყენების სათანადო დონე;
- კვლევის საგანთან და ობიექტთან მათი შესაბამისობა;
- მეცნიერული სიახლე;
- მოცემული დარგის განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი;
- მიღებული შედეგების პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობების დასაბუთება.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება.

სადისერტაციო ნაშრომის დადებითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

- A - 91-100 ქულა - ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;
- B - 81-90 ქულა - ძალიან კარგი (*magna cum laude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- C - 71-80 ქულა- კარგი (*cum laude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- D - 61-70 ქულა - საშუალო (*bene*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- E - 51-60 ქულა - დამაკმაყოფილებელი (*rite*) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს.

სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

- FX - 41-50 ქულა - არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზის გამო ვერ აკმაყოფილებს;

- F - 41 ქულაზე ნაკლები - სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს საერთოდ არ აკმაყოფილებს.

რეცენზენტთა (შემფასებელთა) შეფასებები დადებითად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როცა ეს შეფასებები მაქსიმალური 100 ქულის 50% -ზე მეტია.

იმ შემთხვევაში, თუ ორიდან ერთი შემფასებელი (რეცენზენტი) უარყოფითად აფასებს სადისერტაციო ნაშრომს, სადისერტაციო საბჭო ნაშრომის შესაფასებლად, 10 კალენდარული დღის განმავლობაში, ნიშნავს მესამე შემფასებელს (რეცენზენტს). მესამე შემფასებელს (რეცენზენტს) ნაშრომის შეფასებისათვის ეძლევა 30 კალენდარული დღე.

თუ მესამე შემფასებელი (რეცენზენტი) დადებითად აფასებს წარდგენილ სადისერტაციო ნაშრომს, შემფასებელთა (რეცენზენტთა) შეფასების საფუძველზე განისაზღვრება საბოლოო ქულა - საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი შემფასებელთა რაოდენობაზე).

იმ შემთხვევაში, თუ მესამე შემფასებელიც (რეცენზენტიც) უარყოფითად აფასებს წარდგენილ სადისერტაციო ნაშრომს, დოქტორანტი დაცვაზე არ დაიშვება.

სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასებისა და დოქტორანტის დაცვაზე დაუშვებლობის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს ეძლევა სადისერტაციო ნაშრომზე დამატებითი მუშაობის უფლება. ამ შემთხვევაში დოქტორანტს, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად, ეძლევა დამატებითი სემესტრ(ებ)ის აღების უფლება სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

სადისერტაციო საბჭოს სადისერტაციო ნაშრომი განმეორებით უნდა წარედგინოს მომდევნო ორი წლის განმავლობაში, მაგრამ არაუადრეს უარყოფითი შეფასების მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში.

დოქტორანტის მიერ ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული სადისერტაციო ნაშრომი გადაეცემათ იმავე შემფასებლებს (რეცენზენტებს), ხოლო თუ ეს ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.), შეუძლებელია, სადისერტაციო საბჭო ნიშნავს ახალ შემფასებლებს (რეცენზენტებს).

ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომი დაცვაზე არ მიიღება.

დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის, მისი საჯარო პრეზენტაციისა და სამეცნიერო კამათის საბოლოო შეფასებას ახორციელებენ სადისერტაციო კოლეგიის წევრები.

სადისერტაციო კოლეგიის თითოეული წევრი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს 100 ქულიანი სისტემით. სადისერტაციო კოლეგიის წევრთა შეფასების საფუძველზე განისაზღვრება საბოლოო ქულა - საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი შემფასებელთა რაოდენობაზე).

კოლეგიის წევრთა შეფასებების ჯამური, საბოლოო ქულა დადებითად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როცა ეს ქულა მაქსიმალური 100 ქულის 50% -ზე მეტია.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება.

სადისერტაციო ნაშრომის დადებითი შეფასება (P – დაიცვა) წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

- ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
- ძალან კარგი – (*magna cum laude*) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი (*cum laude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითი შეფასება (F – ვერ დაიცვა) წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

- არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა;
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

სადისერტაციო კოლეგიის მიერ სადისერტაციო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (*insufficienter*) შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება, დამატებით აღებული სემესტრების ხარჯზე. ამ მიზნით, მას უფლება აქვს შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში სადისერტაციო საბჭოს წარუდგინოს განცხადება ნაშრომის გადამუშავებისა და დისერტაციის განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ.

სადისერტაციო კოლეგიის მიერ სადისერტაციო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (*insufficienter*) შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად, ეძლევა დამატებითი სემესტრ(ებ)ის აღების უფლება სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით. სადისერტაციო ნაშრომი განმეორებით შეიძლება დაცული იქნას მომდევნო 1 წლის განმავლობაში.

სადისერტაციო კოლეგიის მიერ სადისერტაციო ნაშრომის სრულიად არადამაკმაყოფილებლად (*sub omni canone*) შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სადისერტაციო კოლეგიის მიერ სადისერტაციო ნაშრომის დადებითად შეფასების (P – დაიცვა) შემთხვევაში, სადისერტაციო კოლეგიის წევრები განსაზღვრავენ სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო

შეფასებას. საბოლოო შეფასებაში შემფასებელთა (რეცენზენტთა) შეფასების ხვედრითი წილი 40 პროცენტის, ხოლო სადისერტაციო კოლეგიის შეფასების ხვედრითი წილი 60 პროცენტის ტოლია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით განსაზღვრული, 51-დან 100 ქულის ჩათვლით ნებისმიერი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტის მიერ შესრულებული და იმავე ან მომდევნო სემესტრში დაცული დისერტაცია ჩაითვლება დასრულებულად, მას ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით მიენიჭება კვლევითი კომპონენტისთვის განკუთვნილი 120 კრედიტი და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის / სამართლის დოქტორის / პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

**დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის
გაფორმების წესი**

განმარტებები

დისერტაციის სტანდარტული ვერსია - დისერტაცია გაფორმებული A4 თაბახზე, რომელსაც ახლავს ორიგინალური ხელმოწერების თავფურცლები. იგი იბეჭდება ოთხ ეგზემპლარად და ბარდება სადისერტაციო საბჭოში განაცხადის წარდგენის დროს აკინძული სახით.

დისერტაციის საგამომცემლო ვერსია - დისერტაცია გაფორმებული A5 თაბახზე. იგი იბეჭდება სტამბური წესით დაგდენილი ტირაჟით.

დისერტაციის გაფორმება

ზოგადი დებულებანი

მოცულობა: დისერტაციის მოცულობა უნდა იყოს, როგორც წესი, არანაკლებ 100 და არაუმეტეს 170 გვერდისა, გაფორმებული წარმოდგენილი ინსტრუქციის შესაბამისად. რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი.

ენა: დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შემცდომების გარეშე.

სტრუქტურა: დისერტაციის სტრუქტურის შერჩევა წარმოებს ავტორის მიერ თემატიკის მიხედვით.

ქაღალდი: დისერტაცია უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა წარმოებს მხოლოდ ერთ გვერდზე. ფოტოსურათები და სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ნახაზები და ცხრილები შესაძლებელია შესრულებულ იქნას A4 ფორმატის ფოტოგრაფიულ ქაღალდზე. უფრო დიდი თაბახის გამოყენების შემთხვევაში (მაგ. ტექნოლოგიური სქემებისათვის) დასაშვებია ნებისმიერი ფორმატის გამოყენება, მხოლოდ აღნიშნული გვერდები არ უნდა აკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად.

მინდორი: მარცხენა მხარე – 38 მმ, დანარჩენი მხარეები – 25 მმ.

შრიფტი: ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს Sylfaen-ის შრიფტით, ზომით 12. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. შემჭიდროვებული ტიპის შრიფტები არ მიიღება. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებულ ხარისხით.

გვერდების ნუმერაცია: ყველა გვერდი უნდა იქნას დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 10. შესავალი გვერდები, გარდა სატიტულო გვერდისა,

ინომრება ქვედა მარჯვენა კიდეში დაბალი რეგისტრის რომაული ციფრებით (i, ii, iii და ა. შ.). დისერტაციის სხვა დანარჩენი ნაწილი ინომრება არაბული ციფრებით. გვერდის ნომერი ფურცლის ქვედა კიდიდან დაშორებული უნდა იყოს 1.3 სმ–ით, ხოლო მარჯვენა კიდიდან 2.5 სმ–ით. სტრიქონებს შორის მანძილი: ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1.

თავებისა და ქვეთავების დასახელებები: ყველა თავის და ქვეთავის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. თავებისა და ქვეთავების შრიფტის ზომა შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომას. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.

ლიტერატურის ციტირება: ლიტერატურის ციტირება უნდა წარმოებდეს ძირითად ტექსტში (როგორც წესი, აბზაცის ბოლოს) კვადრატულ ფრჩხილებში არაბული ციფრებით. შრიფტი უნდა იყოს ტექსტის შესაბამისი ზომის. ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა იქნას მოყვანილი დისერტაციის ბოლოს.

სქოლიო: სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ან თავის/ქვეთავის ბოლოს. შრიფტის ზომა – 10 პუნქტი. თუ სქოლიო განთავსებულია თავის ბოლოს, მაშინ ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით და მთელი თავის განმავლობაში თანმიმდევრულია. სქოლიოს გვერდის ბოლოში განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან. ძირითად ტექსტში სქოლიოს მითითება წარმოებს ხარისხის რეგისტრის სიმბოლოებით.

დისერტაციის შემადგენელი ნაწილები: ქვემოთ მოყვანილი თავები გამოიყენება დისერტაციის გაფორმებისას, როგორც სტანდარტულ, ისე საგამომცემლო ვერსიისათვის. არააუცილებელი ნაწილები მითითებულია ვარსკვლავით.

სექცია	სტანდარტული ვერსია	საგამომცემლო ვერსია
ტიტულის გვერდი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ხელმოწერების გვერდი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
საავტორო უფლების გვერდი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ვინმესთვის მიძღვნის გვერდი*	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
რეზიუმე (ქართულ და ინგლისურ ენაზე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ცხრილების ნუსხა	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ნახაზების ნუსხა	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა*	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ანბანური საძიებელი*	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
მადლიერების გვერდი*	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ძირითადი ტექსტი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
შესავალი		
ლიტერატურის მიმოხილვა		

შედეგები და მათი განსჯა დასკვნა		
სკოლი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ბიბლიოგრაფია ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
დანართები *	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>

ზოგიერთ შემთხვევაში პრაქტიკული თვალსაზრისით დასაშვებია დანართების განთავსება ბიბლიოგრაფიის წინ.

შესავალი ნაწილის გვერდები

სატიტულო გვერდი (გარე ყდა): უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს დისერტაციის დასახელებას, დოქტორანტის გვარს, სახელს და ტექსტს „წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“, „თბილისი, 0192, საქართველო“. მასზე ასევე უნდა განთავსდეს თვე და წელი, როდესაც არის დანიშნული დისერტაციის მოხსენება. აღნიშნული გვერდის ნომერი არის (i), თუმცა იგი არ მიეთითება.

ხელმოწერების გვერდი (გვერდი (ii)): უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. დისერტაციის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ორიგინალური ხელმოწერები, შესრულებელი შავი ფერის მელნიით. აღნიშნულ გვერდს უნდა შეიცავდეს დისერტაციის სტანდარტული ვერსიის ყველა ეგზემპლარი. ხელმოწერილი გვერდის ასლების მიღება შესაძლებელია სადისერტაციო საბჭოში. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს: „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“, ფაკულტეტის დასახელებას, „ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავცანით [გვარი სახელი] მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: [დასახელება] და ვაძლევთ რეკომენდაციას კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის [ფაკულტეტის დასახელება] სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, თარიღი. იგი უნდა იყოს დამოწმებული ხელმძღვანელისა და ყველა რეცენზენტის ხელმოწერით.

საავტორო უფლების გვერდი (გვერდი (iii)): უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. დისერტაციის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ავტორის ორიგინალური ხელმოწერა. ხელმოწერილი გვერდის ასლების მიღება შესაძლებელია სადისერტაციო საბჭოში. აღნიშნული გვერდი განკუთვნილია იმისათვის, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მიანიჭოს განკარგვის (არაკომერციული მიზნებით გავრცელების, რეფერირების და სხვა) უფლება. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს: „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“, სადისერტაციო საბჭოში მისი წარდგენის წელს, ავტორის გვარს, სახელს, თემის დასახელებას, ფაკულტეტის დასახელებას, საძიებელ აკადემიურ ხარისხს, სხდომის ჩატარების თარიღს. იგი ასევე უნდა მოიცავდეს სტანდარტულ ტექსტებს “ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს“ და „ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც

მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.“

ვინმესთვის მიძღვნის გვერდი (საჭიროების შემთხვევაში): აღნიშნული გვერდის ტექსტი და ფორმა სრულდება ავტორის სურვილის მიხედვით. იგი არ აღემატებოდეს 30 სიტყვას.

რეზიუმე (აუცილებელი): იგი უნდა მოიცავდეს სადისერტაციო ნაშრომის მოკლე მიმოხილვას. მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი და ძირითადი მიღწევები. როგორც წესი, რეზიუმე არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, ნახაზებს, სქემებს, და სხვა. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს 500-დან 800 სიტყვამდე. სადისერტაციო საბჭოს უფლება აქვს მოახდინოს რეზიუმეს გავცელება როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით. სტრიქონებს შორის ინტერვალი აიღება ერთის ტოლად. რეზიუმე შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე დისერტაციის დაცვისა და ინგლისურ ენაზე. თუ დისერტაცია ინგლისურ ენაზეა შესრულებული, მაშინ რეზიუმე უნდა დაერთოს ქართულ ენაზე.

შინაარსი (აუცილებელი): დისერტაცია უნდა შეიცავდეს სარჩევს. ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა - 12 პუნქტი. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“, „-“, „_“.

ცხრილების ნუსხა (აუცილებელი). ინტერვალი უნდა იყოს 1.5-2. აბზაცი, რომლის სიგრძეც აღემატება ერთ სტრიქონს, ინტერვალის ზომად აიღება 1. შრიფტის ზომა უნდა იყოს 12. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“, „-“, „_“.

ნახაზების ნუსხა (აუცილებელი). ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა - 12 პუნქტი. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“, „-“, „_“.

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა (საჭიროების შემთხვევაში): დისერტაციაში გამოყენებული ისეთი აბრევიატურებისათვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ მიღებული, სასურველია ავტორის მიერ მოცემული იქნას მათი ჩამონათვალი და ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის.

ანბანური საძიებელი (საჭიროების შემთხვევაში): ავტორის სურვილის მიხედვით შესაძლებელია ანბანური საძიებლის დართვა.

მადლიერების გვერდი (საჭიროების შემთხვევაში): ავტორს აქვს უფლება სადისერტაციო ნაშრომში გამოხატოს მადლიერება ყველა იმ პირის მიმართ, ვინც გარკვეული დახმარება გაუწია (წვლილი შეიტანა ამა თუ იმ ფორმით) სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისას. ამასთანავე, ყოველი დასახელებული პიროვნების შემდეგ უნდა იყოს მოკლედ და მკაფიოდ აღნიშნული მადლიერების მიზეზი (აღნიშნული პირის მიერ გაწეული დახმარების ფორმა, მაგ.: ფინანსური დახმარება, მივლინების ორგანიზება, კვლევისათვის საჭირო მასალებით დახმარება, კონსულტაცია და ა.შ.).

აღნიშნული გვერდის ტექსტი და ფორმა სრულდება ავტორის სურვილის მიხედვით. მისი ზომა არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს.

ძირითადი ტექსტი

ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად. იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, ავტორის მიერ მიღებულ შედეგებს და მათ განსჯას, დასკვნას. თუ შედეგების განსჯა დაყოფილია რამდენიმე ქვეთავად, მაშინ დასაშვებია ლიტერატურის მიმოხილვისა და შედეგების განსჯის ერთმანეთთან შეჯერება.

შესავალი: შესავალ ნაწილში აღწერილი უნდა იქნას დისერტაციაში დასმული პრობლემის მეცნიერული სიახლე, აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა. მასში მოკლედ და ლაკონურად უნდა იქნას დასმული ის პრობლემა, რომლის გადაწყვეტისათვისაც არის მიძღვნილი სადისერტაციო ნაშრომი. თითოეული ფრაზა უნდა იყოს შემლებისდაგვარად მოკლე და ინფორმაციული, რადგან იგი განკუთვნილია დარგის ვიწრო სპეციალისტებისათვის და არა მკითხველთა ფართო მასისათვის. შესავალის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 5%-ს.

ლიტერატურის მიმოხილვა: ლიტერატურის მიმოხილვაში დასმული და პასუხგაცემული უნდა იქნა შემდეგი კითხვები: საიდან მომდინარეობს დისერტაციაში დასმული პრობლემა? რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემის შესახებ? რა ალტერნატიული მეთოდებია უკვე შემუშავებული დასმული პრობლემის გადაჭრისათვის? რა ნაკლოვანებები აქვს ცნობილ მეთოდებს და რა ნაკლოვანებებია აღმოფხვრილი წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში? ლიტერატურის მიმოხილვაში ძირითადად აქცენტი უნდა მოხდეს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ მასალაზე (თუ სადისერტაციო ნაშრომი არ ეძღვნება ისტორიული ხასიათის პრობლემას). ლიტერატურის მიმოხილვის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 30%-ს.

შედეგების განსჯა: შედეგების განსჯის სტრუქტურა დამოკიდებულია სადისერტაციო თემატიკაზე და ავტორს აქვს უფლება იგი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით. იგი არ არის შეზღუდული ქვეთავების რაოდენობით.

დასკვნა: სადისერტაციო ნაშრომში აუცილებლად უნდა შეიცავდეს კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს, რომელიც ჩამოყალიბებული უნდა იქნას მოკლედ და ლაკონურად.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

ზოგადი დებულებანი: გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს დისერტაციის ბოლოს ძირითად ტექსტში მითითებული თანმიმდევრობის მიხედვით. ლიტერატურული წყაროს მითითებისას უნდა იქნას დაცული შემდეგი სტილები:

სტატია:

გვარი ინიციალი. [ინიციალი]., [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. სრული სათაური. ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა. წელი, ტომი, [ნომერი,] გვ. დასაწისი-დასასრული.
მაგ.:

1. Xie W., Pu J., MacKerell A.D. Development of a Polarizable Intermolecular Potential Function (PIPF) for Liquid Amides and Alkanes. J. Chem. Theory Comput., 2007, 3, 6, 1878 -1889.

წიგნი:

ცალკეული გვერდების მითითებისას:

გვარი ინიციალი. [ინიციალი]., [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. სრული სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, [ტომი,] გვ. დასაწისი-დასასრული.
მაგ.:

1. Bruice P. Organic Chemistry. New-York: Pearson Education, Inc., 2004, pp 45-123.

მთლიანი წიგნის მითითებისას:

გვარი ინიციალი. [ინიციალი]., [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. სრული სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, [ტომი,] გვერდების რაოდენობა გვ.

1. Bruice P. Organic Chemistry. New-York: Pearson Education, Inc., 2004, 896 p.

პატენტი:

გვარი ინიციალი. [ინიციალი]., [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. სრული სათაური. გამოცემის ადგილი პატენტის ნომერი. გამოქვეყნების თარიღი, განაცხადის ნომერი. განაცხადის შეტანის თარიღი.

1. Cunningham B. T., Li P. Method and instrument for detecting biomolecular interactions. USA Pat . No. 7292336. 6.11.2007. Appl. No.: 11/605,798. Filed: 28.03.2007.

ინფორმაცია გლობალური ქსელი:

ვებ-გვერდის დასახელება. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – რიცხვი, თვე, წელი.
მაგ.:

1. <http://patft.uspto.gov/netacgi/doc.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 5.03.2007.

გვერდების ნუმერაცია: გვერდები ინომრება თანმიმდევრულად ძირითად ტექსტთან ერთად.

ინტერვალი: სტრიქონებს შორის ინტერვალი არის 1. აბზაცებს შორის ინტერვალი 6-12 პუნქტი.

შრიფტის ზომა: შრიფტის ზომა 12 პუნქტი.

ცხრილები და ნახაზები.

ზოგადი დებულებანი: ნახაზებისა და ცხრილების შემცველობა, ადგილმდებარეობა და ფორმატირება განპირობებულია ნაშრომის სპეციფიკით. სხვა ლიტერატურული წყაროებიდან აღებული ნახაზებისა და ცხრილების გამოყენებისას არ უნდა იქნას დარღვეული საავტორო უფლებები. ნახაზები და ცხრილები აიგება შავ-თეთრად, ასევე დასაშვებია ფერადი ილუსტრაციების გამოყენება.

დასახელებები: დასახელებები უნდა განთავსდეს უშუალოდ ცხრილებისა და ნახაზების თავზე ან ბოლოში. შრიფტის ზომად უნდა გამოყენებული იქნას ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომაზე 1 პუნქტით ნაკლები. დასაშვებია ნახევრად მუქი შრიფტის გამოყენება. ინტერვალი აიღება 1–ის ტოლი.

ადგილმდებარეობა: ნახაზები, ცხრილები და მათი დასახელებები შეიძლება განთავსდეს როგორც ძირითად ტექსტში, ისე ცალკეულ ინდივიდუალურ გვერდზე და დანართების სახით. ნახაზები, ცხრილები და ილუსტრაციები ტექსტიდან დაცილებული უნდა იყოს 1.5-2 სმ-ით. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ფურცლის ჰორიზონტალური ორიენტაცია. ჰორიზონტალური გვერდების მინდორი და გვერდის ნუმერაცია უნდა იყოს ვერტიკალური გვერდების ანალოგიური.

ნუმერაცია: ძირითად ტექსტში არსებული ნახაზები და ცხრილების ნუმერაცია წარმოებს გამჭოლად. დანართში არსებული ნახაზებისა და ცხრილების ნუმერაცია იწყება თავიდან.

დანართი

ზოგადი დებულებანი: დანართში შეიძლება განთავსდეს მონაცემთა ცხრილები, ნახაზები, გაანგარიშებები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და სხვა.

საავტორო უფლებები: როდესაც დისერტაციაში გამოყენებულია საავტორო უფლებებით დაცული მასალები, მაშინ დანართებში ცალკეული გვერდ(ებ)ის სახით უნდა დაემატოს საავტორო უფლებაზე ნებართვის წერილ(ებ)ი.

საგამომცემლო ვერსია

ზოგადი დებულებანი: ავტორს აქვს უფლება განახორციელოს სადისერტაციო ნაშრომის ოპტიმიზაცია გამომცემლობის შესაბამის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ისე, რომ არ დაირღვას ნაშრომის ძირითადი

სტრუქტურა. თუ დისერტაციაში ჩართული იქნება უკვე გამოქვეყნებული სტატიები, მაშინ ისინი უნდა განთავსდნენ ცალკეული თავის სახით.

ფორმატირება: ფორმატირება თანხმდება გამომცემლობასთან. ამასთან ძირითადი სტრუქტურა არ უნდა იქნას შეცვლილი. თუ სტატიები იქნება ჩართული დისერტაციაში, მაშინ სტატიების ფორმატირებისათვის აიღება შესაბამისი ჟურნალის ფორმატირების სტილი.

საავტორო უფლებები: თუ სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული იქნება ისეთი მასალა, რომელიც დაცულია საავტორო უფლებით (მაგალითად ილუსტრაციები, სპექტრები, ნახატები და სხვა), მაშინ ავტორი ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ნებართვა შესაბამისი გამომცემლობიდან ან ავტორისგან მათი გამოყენების შესახებ. ყოველი საავტორო ნებართვის შესაბამისი წერილი უნდა იქნას ჩართული ნაშრომში დანართის სახით.

ელექტრონული ვერსია

სადისერტაციო ნაშრომი უნდა ჩაიწეროს *.pdf ფორმატში CD-ROM ან DVD-ROM დისკებზე. დისკზე უნდა იქნას მითითებული ავტორის სახელი და დისერტაციის დასახელება.

შემფასებელთა (რევენუენტთა) და კოლეგიის წევრთა მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

1. თემის აქტუალობა/მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**
2. პრობლემის იდენტიფიცირება/მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**
3. საჭირო ინფორმაციაზე წვდომა /მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**
4. სტრატეგიის განსაზღვრა/მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**
5. ინოვაციური აზროვნება/მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**
6. ინფორმაციის გამოყენების ეფექტიანობა/მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**
7. ინფორმაციისა და მისი წყაროების კრიტიკული შეფასება/მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**
8. განსხვავებული ეთიკური პერსპექტივების/კონცეფციების გაგება/მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**
9. უცხოური კვლევების ჩართულობის ხარისხი/მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**
10. გამოყენებული კვლევის მეთოდების სისტემა/მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**
11. დასკვნები და შედეგები/მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**
12. პრობლემის გადაჭრა/მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**
13. აკადემიური წერის კულტურა/მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**
14. ინფორმაციის სამართლებრივად და ეთიკურად გამოყენება/მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**
15. ჩატარებული კვლევის ხარისხი/მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**
16. კვლევის მეთოდოლოგია/მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**
17. კვლევის შედეგების გამოყენების არეალი/მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**
18. პრეზენტაციის ორგანიზება/მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**
19. სამეცნიერო კამათი/მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**
20. მიწოდება/მაქსიმალური შეფასება - **5 ქულა**